ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 მარტი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 42 (9961) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გვიახლოვდება საფეხბურთო ფესტივალი

როგორც ჩვენს მკითხველებს ადრე ვაუწყეთ, თბილისში, 5 მარტს დაიწყება და ერთ კვირას გაგრძელდება მინიფეხბურთის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაძმობილებული ქალაქების — ბილბაოს, ზაარბრიუკენის, ინსბრუკის, ლიუბლიანის, პოზნანის, სოფიის, აგრეთვე, მოსკოვის, კიევის, ბაქოს, ერევნის, სოხუმის, ბათუმისა და თბილისის საფეხბურთო გუნდები. ასპარეზობის ორგანიზატორია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი. გუშინ საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირში გაიმართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა წინაშე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ჭანტურია.

ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ ფესტივალში მონაწილე გუნდები 4 ქვეჯგუფში დაიწყებენ ასპარეზობას, საიდანაც ბრძოლას ორორი საუკეთესო გააგრძელებს. ვინაიდან მონაწილე 13 კოლექტივია, მასპინძლები გამოვლენ იმ ჯგუფში, სადაც ორი საგზურისთვის არა სამი, არამედ ოთხი გუნდი იბრძოლებს — ესაა ზაარბრიუკენის, კიევის, ბილბაოს და თბილისის გუნდები. სტუმართა შორის იქნებიან წარსულში ცნობილი ფეხბურთელები. მაგალითად, ბათუმელთა ნაკრებში გამოვა ოლიმპიური თამაშების პრიზიორი რევაზ ჩელებაძე. ეს დღეები ფეხბურთის ჭეშმარიტ დღესასწაულად გადაიქცევა, გარდა ფეხბურთისა, დაგეგმილია საინტერესო კულტურული პროგრამა. არის სიახლეც: თბილისის სპორტის სასახლეში მოსული მაყურებლისთვის თამაშზე შესასვლელი. ბილეთის ადგილის მიხედვით გათამაშდება ფასო საგზურები ფესტივალში მონაწილე უცხოეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ. ლატარეას მაყურებელთა თვალწინ გუნდების კაპიტნები გაათამაშებენ. ორიგინალურია ფესტივალის მთავარი ჯილდო — ვანის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ერთ-ერთი საინტერესო ქანდაკების ასლი.

ფეხბურთის გულშემატკივრებს ელის დაუვიწყარი და მრავალმხრივ საინტერესო საფეხბურთო ფესტივალი.



## ფსიქოლოგიური საფუძველი

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 27 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 105:102 (55:52).

„დინამო": კროპაჩოვი (29), შენგელია (27), კოლიჩევი (25), დარსაძე (17), უსტიაშვილი (3), ხანაძე (2), ტალაბაძე (2), თორთლაძე ფერიაშვილი.

„ჟალგირისი": კურტინაიტისი (32) ბრაზისი (18), ვისოცკასი (14), ბრაზდაუსკასი (12), ვინიკისი (9), კრაპიკასი (9), ლეკარაუსკასი (8).

მსაჯები — ო. გორბატოვი (კუიბიშევი) და მ. ვაინკოპი (მოსკოვი).

ქულათა მწვავე დეფიციტის პირობებში (თბილისის „დინამო" და ჩემპიონატში მონაწილე ბევრი სხვა კოლექტივი სწორედ ასეთ დეფიციტს განიცდიან) ყოველი გამარჯვება, ყოველი მოგებული მატჩი დიდ სიხარულთან ერთად განსაკუთრებულ სატურნირო მნიშვნელობას იძენს. ამდენად გუშინწინდელი მატჩის შედეგს თბილისის „დინამოსა" და კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელთა შორის გარკვეული ფსიქოლოგიური საფუძველი ჰქონდა და არ არის გამორიცხული, რომ მან ჩვენი გუნდის სამომავლო სახე უფრო სხვაგვარად წარმოგვიდგინოს.

„ჟალგირისი" თბილისში თავისი ლიდერების (საბონისი, ხომიჩუსი...) გარეშე ჩამოვიდა. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გუნდს პრაქტიკულმა ალღომ უღალატა, რაღაც გამორჩა, ან ჯეროვნად ვერ შეაფასა, არამედ იმიტომ, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ორ ფრონტზე (საკავშირო ჩემპიონატსა და ევროპის საკლუბო ტურნირში) მოთამაშე კალათბურთელებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური განტვირთვის საშუალება მისცა. საბონისს შარშან საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა



საერთოდ არ მიუღია, მაგრამ ამის მიუხედავად „ჟალგირისი" „ჟალგირისად" დარჩა, იმ ერთადერთ კოლექტივად, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ავიწროებდა მომავალი ჩემპიონის, მოსკოვის არმიელთა ერთი შეხედვით მყარ პოზიციებს.

გუნდის ლიდერებთან ერთად, „ჟალგირისი", რა თქმა უნდა, დიდ ძალას წარმოადგენს და უფრო სრულყოფილ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მათ გარეშეც ისეთი კოლექტივი გახლავთ, რომელსაც ნებისმიერ მეტოქესთან ნებისმიერ დონეზე შეუძლია ბრძოლა. ასე რომ, უსაბონისოდაც „ჟალგირისი" ჩვენთვის ყველაზე მკაცრი გამომცდელი იყო.

იხ. მე-3 გვ.





ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა ტრადიციულ XX საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, პოლონეთის, რუმინეთის, მონგოლეთის, ბულგარეთის, იაპონიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრებმა კოლექტივებმა. ასპარეზობის ბოლო დღეს გათამაშდა გუნდური პირველობა. პირველი ადგილი, როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა ნაკრების წევრებმა (სურათზე ზევით, მარცხნივ) მოიპოვეს. საქართველოს მოჭიდავეები (მარჯვნივ) მეორე ადგილზე გავიდნენ.

ტურნირს ესწრებოდა ევროპის ძიუდოს ასოციაციის ინსპექტორი, შვედი კარლ ვესტი, რომელიც ორგანიზატორებმა ქართული ნაბდით დააჯილდოვეს.





ალექსანდრე კოტორაშვილისა და რენა ლალიძის ფოტოები.

ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის წინ

## პირველი იყო „გურია"

წლევანდელ საფეხბურთო სეზონში ლანჩხუთის „გურიის" უპირველესი ამოცანაა გაახაროს ფეხბურთის მოყვარულები და პერსპექტიული ფეხბურთელები აღუზარდოს თბილისის „დინამოს".

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს არასდროს დაავიწყდებათ ის სასიხარულო დღეები, რაც მათ განაცდევინა ლანჩხუთის „გურიამ" — გუნდმა, რომელიც საკუთარი ხელწერით (სხვათა შორის, ორიგინალური სახელითაც, ისე რომ გულშემატკივრებს ამაზე ფიქრი თავსატეხად აღარ დაუტოვა) მოვიდა დიდ ფეხბურთში. თუმცა ნაღვლიანი პერიოდებიც გვახსოვს, „გურია" მაინც გულშემატკივართა იმედად რჩება. ფეხბურთის დიდ გზაზე სიარული იოლი არავისთვის არ გახლავთ. ამიტომ ნურც ჩვენ ვიქნებით მკაცრი შემფასებლები. მთავარია ის, რომ გუნდს საკუთარი ძალის რწმენა აქვს, რასაც ზურგს უმაგრებს არა მარტო ამ რეგიონის, არამედ საერთოდ ჩვენი ფეხბურთის ქომაგების ერთსულოვნება.

„გურია" ცდილობს ორიგინალური გზით იაროს. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ორგანიზაციული საკითხები, რომლის მოუგვარებლადაც წინსვლა, მით უმეტეს დღეს, ძნელი საქმეა. თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი მატერიალურ-სპორტული ბაზა და გუნდის ფინანსური უზრუნველყოფა ახლა ყველგან გადამწყვეტ როლს ასრულებს. გულშემატკივრებს, ცხადია, ახსოვთ ის ენთუზიაზმი, რომელიც მთელმა რესპუბლიკამ გამოიჩინა „გურიის" სტადიონის მშენებლობასთან და გროგოლეთში კეთილმოწყობილი საწვრთნელი ბაზის შექმნასთან დაკავშირებით. მეორე და მთავარი საკითხი — გუნდის ფინანსური უზრუნველყოფა — კოლექტივმა თავად მოაგვარა. ამ ორი წლის წინათ გუნდი სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა — შეიქმნა სპორტული კომბინატი „გურია". ლანჩხუთელებმა დაწვრილებით შეისწავლეს „დნეპრის" (იმ ხანებში პირველი ასეთი კლუბის) გამოცდილება, 1988 წლის 5 აპრილს კი სახალხო დეპუტატთა ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომმა რაიონის საზოგადოებრიობის მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება, რომ სპორტკომბინატის ბაზაზე შექმნილიყო სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე დაფუძნებული საფეხბურთო კლუბი „გურია". ასე, რომ „გურია" იყო საქართველოში პირველი და სსრ კავშირში მეორე საფეხბურთო გუნდი, რომელიც სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა (კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. წილოსანი). ახლა ეს კლუბი თავად უზიარებს გამოცდილებას რესპუბლიკის იმ რეგიონებს, სადაც საფეხბურთო გუნდების თვითდაფინანსებაზე გადასვლის სურვილი აქვთ. „გურიას" ბევრი ინდივიდუალური და კოლექტიური წევრი უდგას მხარში. კოლექტიურ წევრთა შორისაა აგროფირმა „ნატანები", რომლის თავკაცი სოციალისტური შრომის გმირი გივი წითლიძე კლუბის საპატიო წევრია.

როგორ ეგებება „გურია" ახალ საფეხბურთო სეზონს? ამთავითვე ვიტყვით: იმედიანად, გულშემატკივართა წინაშე ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით. ამას წინათ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ახალი სეზონისთვის პროფკავშირული საფეხბურთო გუნდების მზადების საკითხი. სხდომას გუნდის უფროსი მწვრთნელი მ. ფომენკოც ესწრებოდა. გუნდის ხელმძღვანელების მისამართით დიდი ნდობა გამოითქვა.

„გურიამ" ისევე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყველა საფეხბურთო გუნდმა, პერსპექტიული სპორტსმენები უნდა მიაწოდოს თბი-

იხ. მე-3 გვ.

1 მარტი, 1989 წ.

ხარვეზებზე — საჯაროდ!

# ილუზია და რეალობა

SOS

## ამ წერილს შეიძლება თამამად ეწოდოს სპეციალისტის აღსარება

მე მოვესწარი იმ ბედნიერ დროს, როცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცურვა და პრობლემები სინონიმებად არ ითვლებოდა. იმ დროს ჩვენი მოცურავეების მიერ დიდ საკავშირო ასპარეზობებში დაკავებულ საერთო გუნდურ მეექვსე ადგილს დიდ მიღწევად არ მიიჩნევდნენ, დღეს კი...

თუმცა, შარშან სპორტული სეზონი საქართველოს მოცურავეებისთვის, უკანასკნელ წლებთან შედარებით, წინგადადგმულ ნაბიჯად (ჭაბუკთა საკავშირო სპორტულ თამაშებზე მოპოვებული ორი მედალი, გუნდური მეცხრე ადგილი, საპრიზო ადგილები სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრაზე, ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე ერთი გამარჯვებული) შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ მაინც ბლომადაა დაგროვილი პრობლემები, რომლებიც გადაუდებელ მოგვარებას მოითხოვენ. ამ პრობლემებზე თვალის დახუჭვა ისედაც უსიხარულო მდგომარეობის უფრო გაღრმავებას ნიშნავს.

ყველა წარმატებას, მათ შორის თვალსაჩინოსაც, თავისი მეორე მხარე აქვს. მაგალითად, სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ერთი სურინამელი მოცურავის ოქროს მედალი, რომელიც აღიარებულ სპორტსმენებს „წაართვა", სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მის ქვეყანაში ცურვა მაღალ დონეზეა განვითარებული. საქმე ისაა, რომ ის სურინამელი სპორტსმენი აშშ-ში ცხოვრობს და იქაურ უძლიერეს მოცურავეებთან ვარჯიშობს.

ჩვენი მოცურავეების პრობლემების გამოჩხრეკა არც ისე იოლია. იმდენი პრობლემაა და ერთმანეთში ისეა ჩახლართული, რომ იგი ჩინურ დაბლს შეიძლება შევადაროთ, ან კიდევ — რუსულ „მატრიოშკას", ერთს რომ გახსნი და შიგ მეორეს აღმოაჩენ, გახსნი იმ მეორეს და ახლა მესამეს იპოვი... და ასე გაუთავებლად, დასასრული რომ არ უჩანს.

მივმართოთ ფაქტებს, რომლებიც, როგორც იტყვიან, „ჯიუტი" რამაა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საკავშირო ჩემპიონატების მოზრდილთა პაექრობის ფინალში საქართველოს წარმომადგენელთაგან ირინა გერასიმოვას გარდა სხვა ვერავინ მოხვდა (გერასიმოვა მაშინ მრავალწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ ცდილობდა საკავშირო ნაკრებში მოხვედრას). რაც შეეხება ამ შეჯიბრებებში პირად ჩათვლაში ქულების მოპოვებას, ამას მხოლოდ სამი-ოთხი მოცურავე თუ ახერხებდა და ისიც მხოლოდ ახალგაზრდების ფინალურ ასპარეზობებში (იმ სამი-ოთხი მოცურავის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი წარმატებას აღწევდნენ). ჭაბუკთა საკავშირო სპორტულ თამაშებზე ჩათვლა რვამ მიიღო.

როგორი პერსპექტივა გვაქვს მომავალში?

მოცურავეთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში მოზრდილთა შორის მხოლოდ რვა ჩვენი მოცურავე დაუშვეს, უმცროსებში კი თითოეულ გუნდს, ცალკეული სახეობების მიხედვით, თითო გოგონას გამოყვანა შეეძლო. მათგან მოზრდილთა ფინალში გასვლის შანსი მხოლოდ სამს ჰქონდა.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა 1972-74 წლებში დაბადებულ მოცურავეთა შორის, სადაც IV ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე ჩათვლა ათ მოცურავეს შეუძლია მოგვცეს. თუ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წარმომადგენლებს ასაკობრივი პრინციპის მიხედვით დავუპირისპირებთ, ჩვენ აშკარად უარყოფითი ბალანსი გვექნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასაკობრივი პრინციპით დაკომპლექტებულ სრულფასოვან გუნდებს კარგა ხანს ვერ გამოვიყვანთ.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ნაკრებ გუნდებს ჩვენი მოცურავეები მეტისმეტად ხშირად ეთხოვებიან. მაგალითად, 1987 წლის ოქტომბრიდან 1988 წლის ოქტომბრამდე ნაკრებიდან, სხვადასხვა მიზეზის გამო, 22 მოცურავე, მათ შორის 13 გოგონა, გაირიცხა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ნაკრების კანდიდატთა შერჩევის საქმეში დიდი ხარვეზები გვაქვს.

ანალოგიური ისტორია მომდევნო სეზონშიც გამეორდა.

ერთი სიტყვით, ყოველწლიურად ნაკრებს გუნდის წევრთა 50 პროცენტი ტოვებს. თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდა, ახალი ოლიმპიური ციკლის ბოლოს ძველი შემადგენლობიდან აღარავინ, ან თითქმის აღარავინ დაგვრჩება. ასე იყო მანამდეც — წინა ციკლში. მაგალითად. 1984 წლის ნაკრებიდან 1988 წლის გუნდს ორად-ორი სპორტსმენილა (იგორ არტიომოვი და როლანდ ხვადაგიანი) შემორჩა. არადა, ცურვის განვითარების ტენდენციები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ სპორტსმენები, თანამედროვე მეთოდიკით ვარჯიშისას, მოწინავე პოზიციებს 3-6 წლის მანძილზე ინარჩუნებენ. მაგალითად, სეულის ოლიმპიური თამაშების „დედოფალმა", 22 წლის კრისტინ ოტომ თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი 15 წლისამ დაამყარა, საქართველოში კი არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური და სპეციალური მომზადების გამო ნაკრები გუნდებიდან, როგორც ვნახეთ, ბევრ უფროსი ასაკის მოცურავეს ვემშვიდობებით. მათ ადგილზე ახალგაზრდებს ვიწვევთ და 2-3 წლის მერე იგივე სურათი მეორდება. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს ნაკრები იძულებულია ყველგან „ჭაბუკური" ასაკის მოცურავეებით იბრძოლოს.

1987-88 წლების განმავლობაში მხოლოდ თერთმეტმა ჩვენმა მოცურავემ (თავის ძირითად სახეობაში) გააუმჯობესა შედეგები. ეს ძირითადად მოხდა იმათ ხარჯზე, ვინც საკავშირო ნაკრები გუნდების შეკრებაზე იყო მიწვეული. ჩვენი გუნდის 20 პროცენტზე მეტი ან იმავე ადგილს ტკეპნიდა, ან პირიქით, შედეგები გააუარესა. თუ ამას გუნდიდან გარიცხულებსაც მივათვლით, მუშაობის ეფექტის გამოანგარიშება ძნელი აღარ იქნება.

მაგრამ ეს ფაქტი სპორტსმენთა ოლიმპიური მომზადების ცენტრის ნაკრების მწვრთნელთა სახელშეკრულებო ვალდებულების ფონზეც კი მიღწევად გამოიყურება. 41 სპორტსმენიდან დაგეგმილ შედეგებს მხოლოდ სამმა მიაღწია, მაშინ, როცა მათთვის ნორმატივები გაიოლებული გვქონდა. ამაში საოცარი არაფერია, რადგან ნაკრებთან მუშაობის კონტროლს რესპუბლიკის № 3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლა (დირექტორი ნუგზარ ერაძე) პრაქტიკულად არ ეწევა. სპორტული დაოსტატების ზრდის გეგმა რომ 90 პროცენტით ვერ შესრულდა, მსგავს მაგალითს ვეტერანებიც ვერ იხსენებენ.

ცურვის ჩამორჩენის სხვა მიზეზთაგან, რომლებიც შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, უნდა დავასახელოთ სპორტსმენთა სპეციალური და საერთო ფიზიკური მომზადება, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, — მოუმზადებლობა. საქართველოს მოცურავეების მაჩვენებლები ძალისმიერ მომზადებაში ორჯერ დაბალია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპორტსმენებისა.

ამ პრობლემის გადასაჭრელად წლინახევრის წინათ მოვიწვიეთ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი სპეციალისტი ფ. საიკოვსკი, რომელიც მრავალი ნაკრების წევრებთან, მათ შორის მოცურავეებთანაც, მუშაობს. მისი მეცადინეობები ჩვენს მოცურავეებთან ვიდეოფირზე ჩავიწერეთ, მაგრამ საკითხავი ისაა, როგორი შედეგი მივიღეთ.

სამწუხაროდ, მის მიერ რეკომენდებული მეთოდიკა არ სრულდება. ის ვიდეოფირი, რომელიც რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლაში ინახებოდა, ეტყობა, არასაჭიროდ მიიჩნიეს და აღარ შეინახეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს გ. ხოლოდსა და მეთოდისტს ა. გეტმანოვს სიახლეებთან თავისებური, უფრო სწორედ, არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

ახალ ამერიკას არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ თანამედროვე დიაგნოსტიკური საშუალებები მაღალი კლასის სპორტსმენთა არსენალშია შეტანილი.

ამ მიზნით ჩვენც გადავდგით ნაბიჯი.

მერედა რა გამოვიდა?

პრაქტიკაში დავნერგეთ კომპიუტერული ტესტირების სისტემა, რომელიც პროფესორ დუშანინის მეთოდით სპორტსმენთან ფუნქციონალური პარამეტრების განსაზღვრაში უნდა დაგვხმარებოდა. იგი უნდა დაგვხმარებოდა წვრთნის პროცესის მართვაში, აგრეთვე ადრეულ ასაკში განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვების გამოვლენაში. ამ სისტემით მთელ რესპუბლიკაში უკვე 1500 სპორტსმენი გამოვიკვლიეთ. ვფიქრობდით, რომ ყველა რანგის რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მათ ფუნქციონალურ ტესტირებას ჩავუტარებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი პროექტი ქაღალდზე დარჩა (ტესტირება ჩავატარეთ სოხუმში, როცა იქ გაიმართა შეჯიბრება „ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან") რადგან, მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, ნ. ერაძემ ხელი არ შეგვიწყო.

აი, უკვე ზედიზედ ორ შეჯიბრებაზე, საქართველოს თასის გათამაშებაში და რესპუბლიკურ ჩემპიონატში, ტესტირების გარეშე „იოლად" გავედით. ეტყობა, ასე ნაკლებ სახათაბალოა.

ტესტირების ისტორია რომ ასეც გაგრძელდებოდა, ამის მიხვედრა ძნელი არ იყო, რადგან როცა თბილისში მთელი თვით ჩამოვიდა ზემოხსენებული მეთოდის ავტორი, უმაღლესი დაოსტატების სკოლის არცერთი თანამშრომელი არ დაინტერესებულა იმით, თუ რა სისტემაა ეს, რა სიახლეს შეიცავს ეს მეთოდი. თუ როგორი მომავალი აქვს ამ სისტემას, მისი განჭვრეტა ძნელი არაა — ალბათ, ბოლოს და ბოლოს, მასაც იმ ვიდეოფირის ბედი ელის.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების აღსაზრდელთა გამოკვლევის გრაფიკი ჩაიშალა და ეს სულაც არ აღელვებს უმაღლესი დაოსტატების სკოლას.

საკითხავია, როგორღა უნდა მოვძებნოთ პერსპექტიული მოცურავეები, თუ მეცნიერების მიღწევებს არ მოვიშველიებთ, მაგრამ ეს „წვრილმანი" რა მოსატანია, როცა სპორტსმენის მიმართ კონტროლი არ არსებობს. ნაკრების წევრთა წონა, განსაკუთრებით გოგონების, 6 კილოგრამითა და მეტითაცაა მომატებული.

კიევში შეკრებაზე ყოფნისას ა. გეტმანოვმა და ჩვენი გუნდის მასაჟისტმა ბრომბერგმა დრო ვერ გამონახეს, რომ სპორტსმენთა ტესტირებაზე სემინარებს დასწრებოდნენ. იქ მყოფ მწვრთნელებს ქაღალდებს და კალმებს მე ვურიგებდი, რომ რაღაცით მაინც შეგვექმნა სემინარებით ჩვენი დაინტერესების ილუზია.

გასაოცარია, რომ შეკრებები, სადაც სპორტსმენები ღამეს, ამას კი წესი მოითხოვს, ერთ ჰერქვეშ არ ათევენ, სადაც ქაოსია და მუშტიკრივი იმართება, სადაც ხარჯთაღრიცხვა დროზე არ იხურება, უმაღლესი დაოსტატების სკოლის დირექტორი დადებითად აფასებს, ხოლო შეკრებების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ა. გეტმანოვი მივლინებებში, როგორც ჩანს, წახალისების მიზნით იგზავნება.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სპორტსმენებს შეუძლიათ თვეობით არ გამოცხადდნენ თავიანთ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. იმაზე შორს სადღა უნდა წავიდეთ, რომ მოცურავეები შეჯიბრებებისთვის მწვრთნელთა გარეშე, მასაჟისტის ხელმძღვანელობით ემზადებიან. ასე იყო, მაგალითად, ფედერაციის თასის გათამაშებისთვის მზადების პერიოდში.

შეკრებებზე აღინიშნა ფინანსური დარღვევებიც და არაა გასაკვირი ის ამბავი, რომ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის მიერ წარმოდგენილ კვებაზე მყოფთა სიებში არიან ის სპორტსმენები, რომლებმაც ცურვა მიატოვეს, ხოლო ისინი, ვინც მათ ნაცვლად მიიღეს, ჯერჯერობით ბრძანებით დამტკიცებულნი არ არიან.

საერთოდ, უმაღლესი დაოსტატების სკოლაში დოკუმენტაციის მიმართ თავისებური დამოკიდებულება აქვთ. არ მახსოვს შემთხვევა, რომ საბუთები დროულად ჩაებარებინოთ და, ამასთან, მისი გადაკეთება საჭირო არ გამხდარიყოს. თუ საბუთების ჩაბარებას საშველი დაადგება, მას აღარ უბრუნდებიან. ხელს მოაწერენ და... ივიწყებენ!

მოცურავეთა ქრონიკული დეფიციტის პირობებში სპორტსმენთა ავადმყოფობა ჩვენთვის მეტად შემაშფოთებელია. საკმარისია გუნდის ორი ლიდერი ავად გახდეს და ჩვენი ნაკრები უმალვე ჩაფლავდება. აქ ძნელია გადაუჭარბებლად შეაფასო ავადმყოფობის პროფილაქტიკა, ორგანიზმის დაცვითი ფუნქციების გაუმჯობესებისა და პათოლოგიური პროცესების გამოკვლევის საკითხი. ამ მიზნით შარშან აპრილში ნაკრებთან სამუშაოდ მოვიწვიეთ ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპეციალისტი ე. ბიხუნოვა, რომელიც ჰომეოპატიის, ირიდოდიაგნოსტიკისა და აკუპუნქტურის სფეროში მუშაობს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ძნელი არ უნდა იყოს იმისი მიხვედრა, რომ უმაღლესი დაოსტატების სკოლისა და ნაკრების მწვრთნელები ბიხუნოვას სემინარებს არ დასწრებიან.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უმაღლესი დაოსტატების სკოლის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს, რომ ჩვენთან სპეციალისტების მოწვევას ხელი შეუშალოს. ამ [illegible] მათ პოზიციას [illegible] ნათლად გამოხატავს, რომ ბიხუნოვას კუთვნილი გასამრჯელო, მიუხედავად დირექტორთან და სასწავლო ნაწილის გამგესთან არაერთგზის მიმართვისა, მხოლოდ ნახევარი წლის გასვლის შემდეგ გადაუხადეს.

საერთოდ, უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 8 რესპუბლიკური სკოლის ცურვის განყოფილების მოღვაწეობა, ფანტასტთა ტერმინოლოგია რომ ვისმაროთ, მოგვაგონებს „შავ ხვრელს", სადაც გრავიტაციული კოლაფსის შედეგად უკვალოდ იკარგება ჩანაწერებიანი კასეტები, კომპიუტერები და სპორტსმენთა გამოკვლევის მასალები.

ვერ ვხედავ, არ მესმის, ვდუმვარ! — მუშაობის ასეთი სტილი ჩამოყალიბდა უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლაში.

სპორტსახკომის მიერ მთელი წლის განმავლობაში ჩატარებულ შეჯიბრებებს („ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან") არ დასწრებია ნაკრების არც ერთი მწვრთნელი და უმაღლესი სპორტული დაოსტატების წარმომადგენელი, არადა, იმ ასპარეზობებში მთელი რესპუბლიკის 10-14 წლის მოცურავეები გამოდიოდნენ. აბა, სხვაგან სად უნდა ვეძებოთ ნიჭიერი მოცურავეები, თუ არა ამგვარ ასპარეზობებში, რომლებიც წლის განმავლობაში 11-ჯერ ტარდება.

ჩვენი თანამშრომლებისთვის აუცილებელი სულაც არაა ამ შეჯიბრებებს დაესწრონ, — გვითხრა უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 8 რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა, — ეს სპორტსახკომის პრობლემაა.

სანამ ასეთი პოზიცია სუფევდა, ამასობაში, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, გუნდში 1974 წელს დაბადებულ მოცურავეთაგან 9-ზე მეტი სპორტსმენი აღარ დარჩა, ამაზე მეტი მოცურავე აღარც 1975 წელს დაბადებულთა შორის გვყავს. საუბარია იმ მოცურავეებზე, რომლებსაც საკავშირო შეჯიბრებებზე ჩათვლის მიღება შეუძლიათ.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, თუ მომავალში რა პრობლემები გველის. წლეულს 1976 წელს დაბადებულ მოცურავეთა საკავშირო შეჯიბრებაში გოგონათა შორის რომ სპორტსმენი დაუშვან, იგი არანაკლებ პირველთანრიგოსანი უნდა იყოს, იანვრის შუა რიცხვებისთვის ჩვენ არცერთი ასეთი სპორტსმენი არ გვყავდა.

ერთი მრავლისმთქმელი ფაქტი — ჩვენი სპორტსმენებიდან ცურვის 32 დისციპლინაში მხოლოდ სამმა შეძლო მჭიდროდ მიახლოებოდა საქართველოს წარმომადგენელთა... 1976-80 წლების საუკეთესო შედეგებს. და ეს იმ დროს, როცა ჩვენმა მეტოქეებმა 9 წლით გაგვისწრეს.

დღეს ჩვენი მოცურავეები ისეთ დღეში აღმოჩნდნენ, როგორც მწერალ ლ. კეროლ-ალისის გმირი, რომელიც მოხვდა ისეთ ქვეყანაში, სადაც ერთ ადგილზე რომ გაჩერდეს, თავქუდმოგლეჯილმა წინ უნდა ირბინოს.

რაღა გასაკვირია, რომ რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში 10-15 და 20 წლის წინანდელ მიღწევებსაც კი ვხედავთ.

აი, ასეთი ტენდენციები და ასეთი რეალობა გვაქვს ცურვაში.

რით დამთავრდება ყველაფერი? არ გამიკვირდება, რომ უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 3 რესპუბლიკური სკოლის თანამშრომლებს, რომლებიც „აქტიური" მუშაობისთვის წახალისების სახით დამატებით 50 სამუშაო საათის „გასამრჯელოს" იღებენ, მალე იმდენივეს დაუმატებენ ნერვიული სტრესების კომპენსაციისთვის.

**ვალერი საი,**

საერთაშორისო ოლიმპიური რეზერვების მომზადების ცენტრის უფროსი მწვრთნელი.

---

პასუხი „ლელოს"

## „დახლზე კი სიცარიელე იყო"

რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქსპორტკულტსაქონელის" დირექცია გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის 14 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში „დახლებზე კი სიცარიელე იყო", რომელიც ეხებოდა რუსთავის მაღაზიებში სპორტული ასორტიმენტის საქონლით ვაჭრობაში წყვეტილობის ფაქტებს, ჩვენს მიერ შესწავლის პროცესშია და მის შედეგებს განვიხილავთ უახლოეს დღეებში.

**ს. აბულაძე,**

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

---

ლახტის წრეში

## გაიზიარეთ ჩვენი გულისტკივილი

გვინდა ჩვენი გულისტკივილი გაგიზიაროთ. დიდი ხანია ვფიქრობდით ვისთვის მიგვემართა. ბოლო დროს ბევრი იწერება თქვენი გაზეთის ფურცლებზე ფიზიკური კულტურის გაკვეთილების შესახებ და გადავწყვიტეთ ისევ თქვენთვის გაგვეზიარებინა ჩვენი გასაჭირი.

წელს სკოლას ვამთავრებთ. კარგად გვესმის რა დიდი ყურადღება ეთმობა ახლა ფიზკულტურას და გული გვტკივა, რომ ჩვენს სკოლას არ გააჩნია სპორტდარბაზი, რის გამოც ზამთარში ფიზკულტურის გაკვეთილების ნორმალურად ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ახლა მეორე სატკივარიც დაგვემატა — არა გვყავს ფიზკულტურის მასწავლებელი. იყო პედაგოგი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა ჩვენი ფიზიკური განვითარებისათვის, ზამთრობით საკლასო ოთახში რომ შევიყუჟებოდით, მაშინაც არ ვკარგავდით უქმად დროს, მაგრამ შარშან ის მასწავლებელი წავიდა სკოლიდან და იმ დღიდან ჩვენთან ფიზკულტურის გაკვეთილი აღარ ჩატარებულა ისე, როგორც საჭიროა. სექტემბერში ახალი მასწავლებელი მოვიდა, თითქოს გამოცოცხლდა სკოლა, მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა — რამდენიმე თვეში ამ მასწავლებელმაც მიგვატოვა. ზოგჯერ ასე, ან გვიცდება ფიზკულტურის გაკვეთილი, ან კიდევ რომელიმე „თავისუფალი" მასწავლებელი შემოდის. ჩვენ რაღაც სამ-ოთხ თვეში დავამთავრებთ სკოლას. გული გვწყდება, რომ ჩათვლები, რომლებიც უნდა ჩავაბაროთ ფიზკულტურაში, ჩვენთვის ალბათ ფორმალურად და ულიმღამოდ ჩატარდება. გული გვწყდება, რომ ჩვენი სკოლის ტრადიციები — წარმატებები სპორტში, წარსულს ჩაბარდა. თუმცა, იმედი გვაქვს, მომავალ წელს მაინც ისურვებს ვინმე ჩვენს სკოლაში მუშაობას და როდესმე მაინც აშენდება სპორტდარბაზი.

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ეს წერილი თქვენი გაზეთის ფურცლებზე, იქნებ გულისტკივილი სიხარულად მომავალ თაობებს მაინც ექცეს.

**მ. ინჯია, ე. ქოიავა, მ. მეგონია და სხვ.**

სოფ. ორჯონიკიძის საშუალო სკოლა.

წალენჯიხის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო კავშირის თასზე

**26 თებერვალს** დაიწყო ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც უმაღლესი ლიგის გუნდები მონაწილეობენ.

ეს შეჯიბრება ჩვენს ფეხბურთში ტრადიციულია, წინა წლებში მას სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასს უწოდებდნენ, მაგრამ ახალი საფეხბურთო კავშირის შექმნასთან დაკავშირებით მას სახელწოდება შეეცვალა.

შეჯიბრების მონაწილე გუნდები, როგორც იცით, დაყოფილი არიან 4 ჯგუფად, ჯგუფებში ჩატარებულ შეჯიბრებათა შემდეგ გამარჯვებულები ბრძოლას გააგრძელებენ თასის გადამწყვეტ ეტაპზე.

ამრიგად, გაიმართა პირველი მატჩები:

**„ა“ ჯგუფი.** „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:2.

**„ბ“ ჯგუფი.** „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:2, „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:1.

**„დ“ ჯგუფი.** „პამირი“ (დუშანბე) — „დინამო“ (მინსკი) 2:2.

**„ც“ ჯგუფი.** „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:2, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (კიევი) 0:0.

ეს მატჩები ჩატარდა სოჭის, ადლერის, ხარკოვის, დუშანბეს ღია სტადიონებსა და მოსკოვის გადახურულ კომპლექსებში.

თასის გათამაშების სასტარტო დღეს არ შედგა ორი მატჩი: „არარატი“ (ერევანი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) და „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (თბილისი). საკავშირო მნიშვნელობის მატჩის ჩაშლა სერიოზული ამბავია, ამიტომაც ჩვენი გაზეთის წარმომადგენელი დაუკავშირდა თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას და მკითხველთა სახელით განმარტება თხოვა აღნიშნულ საკითხზე:

**— ამ მატჩის თაობაზე, — თქვა თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა — ჩვენ დროულად დავუკავშირდით „ჟალგირისის“ ხელმძღვანელობას ვილნიუსში. თვით „ჟალგირისი“ ამჟამად არა თუ შინ, არამედ საერთოდ სსრ კავშირში არ იმყოფება და მაროკოში მართავს ამხანაგურ შეხვედრებს. ამიტომაც, ვილნიუსიდან გვიპასუხეს, რომ თუ იქ ჩავალთ სათამაშოდ, შევხვდებით არა „ჟალგირისს“, არამედ იქაური სპორტინტერნატის გუნდს. ცხადია, თბილისის „დინამოს“ შეხვედრას ვილნიუსის სპორტინტერნატის გუნდთან არსებითად საერთო არაფერი აქვს ფეხბურთის კავშირის თასის მიმდინარე გათამაშებასთან, გარდა ამისა, ასეთი მგზავრობა დიდ ხარჯებს მოითხოვს, ჩვენ კი სრულ თვითდაფინანსებაზე ვიმყოფებით და ყაირათიანობა გვჭირდება. თუ მიაქციეთ ყურადღება თასის პირველ მატჩებში გუნდებმა უმთავრესად ძირითადი შემადგენლობები გამოიყვანეს სათამაშოდ.**

ჩვენი აზრით, ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის ჩაშლა გაუგებრობასთანაა დაკავშირებული. ამიტომაც ვეთანხმებით გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მიმომხილველს, რომ ამ საკითხზე უნდა იმსჯელოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა და საშუალება შეუქმნას გუნდებს სწორედ ძირითადი და არა რაღაც არარეალური შემადგენლობებით ითამაშონ ერთმანეთთან.

---

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

# ფსიქოლოგიური საფუძველი

(დასასრული)

გამოცდა მართლაც მკაცრი გამოდგა, მაგრამ გუშინწინდელ მატჩში ჩვენ ვნახეთ სხვა „დინამო“, თვისობრივად განსხვავებული თამაშით, რასაც ალბათ გამომცდელიც არ ელოდა. ილუზიებმა არ უნდა მოგვატყუოს. ამ ერთი შედეგის განზოგადოება, ცხადია, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას, მით უმეტეს ახლა, როცა გულშემატკივრებს გარკვეული იმედები ჩაესახათ.

„დინამომ“ ეს შეხვედრა დამსახურებულად მოიგო, თანაც საკმაოდ მძაფრ და უკომპრომისო ბრძოლაში. მატჩის ბოლო წუთების მიხედვით არც სხვა შედეგი იქნებოდა ალოგიკური, თუმცა გული ალბათ მაინც დაგვწყდებოდა, ვინაიდან რაც უნდა იყოს ჩვენ უფრო მეტხანს ვფლობდით ინიციატივას და სასურველ მიზანთანაც უფრო ახლოს ვიყავით. ეს რომ არ მოხდა თავად დინამოელთა ბრალია, მათი სწორი თამაშისა, მათი მტკიცე ხასიათის.

ლოგიკურ წარმატებას საფუძველიც, უსათუოდ, ლოგიკური უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აზრი და მნიშვნელობა ეკარგება. ეს საფუძველი დინამოელებმა თამაშით შექმნეს, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი და გამართლება ჰქონდა, სადაც ყველაფერი დიდი სიზუსტით და მონდომებით სრულდებოდა. შენგელია, როგორც ჭეშმარიტი ცენტრალური თავდამსხმელი, მეტოქის პოზიციას ხან ფლანგებიდან, ხან ცენტრიდან ავიწროებდა, კოლიჩევი (პირველ ტაიმში იგი თბილისელთა შორის ალბათ საუკეთესო იყო) და კროპაჩოვი მორიგეობით ბოჭავდნენ ლიტველთა დაცვას, სამივე ერთად კი თავგანწირვით იბრძოდა ფარქვეშ. შეტევებს უკანა ხაზიდან უნარიანად ხელმძღვანელობდა გელა დარსაძე და საჭიროების შემთხვევებში მისი ახალგაზრდა კოლეგები თორთლაძე და უსტიაშვილი. იყო, რა თქმა უნდა, ტექნიკური წუნიც, მაგრამ ისიც ნათლად იგრძნობოდა, რომ გუნდს ერთიანი გეგმა გააჩნდა, მის წევრებს კონკრეტული დავალებები და მეტნაკლებით წარმატებით ყველა მათ რეალიზაციას ცდილობდა:

გულხელდაკრეფილნი, ცხადია, არც მეტოქეები იყვნენ. განსაკუთრებით მწვავედ თამაშობდა კურტინაიტისი, რომლის უვნებელყოფა, საბოლოოდ, ვერც მოხერხდა („ჟალგირისის“ ლიდერმა ამ მატჩში თავის კოლექტივს 32 ქულა შესძინა), მაგრამ ეს მაინც უფრო უსიამოვნო მოგონება იყო, რომელსაც ჩვენდა საბედნიეროდ საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

ერთი გამარჯვება, თუნდაც ისეთ მეტოქესთან, როგორიც „ჟალგირისი“ გახლავთ, პრობლემებს, ცხადია, არ ხსნის. მაგრამ ამ გამარჯვებას, ამის მიუხედავად, ფსიქოლოგიური მნიშვნელობა მაინც ჰქონდა. დღეს კი თბილისის „დინამოსთვის“ ამას დიდი ფასი აქვს. „ჟალგირისს“ წლევანდელ ჩემპიონატში ალბათ მაინც ულღუბლო ფინიში ექნება, ჩვენ კი სეზონის მთავარი ამოცანა სწორედ დარჩენილ შეხვედრებში უნდა გადავწყვიტოთ. ლიტვის კალათბურთელებთან განმეორებითი მატჩის შემდეგ თბილისის „დინამო“ მოსკოვსა და ლენინგრადში მიემგზავრება, სადაც ცსკა-სა და „სპარტაკს“ უნდა შეხვდეს. გვჯერა, რომ ამ და სხვა მატჩებს ჩვენი გუნდი სათანადო განწყობითა და ხასიათით ჩაატარებს.

**ნოდარ ბუგუშვილი.**

• • •

**სხვა მატჩები**

გაიმართა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**მოსკოვი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, ადგილობრივმა ცსკა-მ მერვე მარცხი განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ კიევის „სტროიტელთან“ მატჩის პირველი ნახევარი მან მოიგო [illegible] (46:49), [illegible] გარიშით (18 ქულით) დამარცხდა 79:97.

**ალმა-ათა.** ადგილობრივმა არმიელებმა მეორე შეხვედრაც მოუგეს რიგის ვეფ-ს 112:72 (49:46) და სატურნირო ცხრილში მეოცე გამარჯვება ჩაიწერეს.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 28 თებერვლისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 32 | 21 | 11 | 53 |
| ასკ (ალმა-ათა) | 30 | 20 | 10 | 50 |
| „კალ.“ (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| ცსკა | 26 | 18 | 8 | 44 |
| „ჟალგ.“ (კაუნ.) | 21 | 19 | 2 | 40 |
| „დინამო“ (თბ.) | 29 | 11 | 18 | 40 |
| „სტროიტ.“ (კ.) | 21 | 18 | 3 | 39 |
| „სტატ.“ (ვილნ.) | 26 | 12 | 14 | 38 |
| ვეფ (რიგა) | 31 | 4 | 27 | 35 |
| რტი (მინსკი) | 24 | 10 | 14 | 34 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 28 | 6 | 22 | 34 |
| „შახტ.“ (დონ.) | 24 | 7 | 17 | 31 |

## გუშინ...

უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის განმეორებით მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და კაუნასის „ჟალგირისი“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 102:81 (50:43).

---

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

**საფრანგეთი**

**26-ე ტური.** „ნანტი“ — „მონპელიე“ 2:1, „მონაკო“ — „სენტ ეტიენი“ 2:2, „მარსელი“ — „სტრასბურგი“ 3:1, „სენ ჟერმენი“ — „ტულონი“ 0:0, „ლანი“ — „ლილი“ 1:2, „კანი“ — „ნიცა“ 2:0, „ლავალი“ — „რესინგი“ 4:2, „კაენი“ — „ოსერი“ 1:0, „ბორდო“ — „ტულუზა“ 1:1, „მეცი“ — „სოშო“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენ ჟერმენი“ | 26 | 33-19 | 51 |
| „მარსელი“ | 26 | 40-24 | 49 |
| „ოსერი“ | 26 | 32-22 | 49 |

**შოტლანდია**

**26-ე ტური.** „სელტიკი“ — „მოზერუელი“ 1:2, „დანდი იუნაიტედი“ — „რეინჯერსი“ 1:1, ჰართსი“ — „დანდი“ 3:1, „ჰამილტონი“ — „აბერდინი“, „სენტ მორენი“ — „ჰიბერნიანი“ გადაიდო.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი“ | 26 | 42-20 | 38 |
| „დანდი იუნაიტ.“ | 26 | 36-13 | 36 |
| „სელტიკი“ | 26 | 54-37 | 32 |

**ჰოლანდია**

**მე-20 ტური.** „ფეიენოორდი“ — „ჰარლემი“ 3:0, „ვოლენდამი“ — „ეინდჰოვენი“ 1:1, „დენ ბოში“ — „როდა“ 0:1, „აიაქსი“ — „ცვოლე“ 0:0, „ვეენდამი“ — „სპარტა“ 0:1, „მაასტრიხტი“ — „გრონინგენი“ 3:1, „ვენლო“ — „ვალვიკი“ 1:1, „ტილბურგი“ — „ტვენტე“ 0:0, „სიტარდი“ — „უტრეხტი“ 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 20 | 42-17 | 32 |
| „აიაქსი“ | 20 | 43-21 | 29 |
| „ფეიენოორდი“ | 20 | 43-32 | 26 |

**გფრ**

**მე-18 ტური.** „ლევერკუზენი“ — „მანჰეიმი“ 3:0, „ჰამბურგი“ — „ვერდერი“ 2:0, „იურდინგენი“ — „კიოლნი“ 1:1, „ნიურნბერგი“ — „სენტ პაული“ 5:3, „ფრანკფურტი“ — „ბაიერნი“ 2:2, „შტუტგარტი“ — „დორტმუნდი“ 1:3, „კაიზერსლაუტერნი“ — „მიონხენგლადბახი“ 0:0.

| | | |
|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 18 | 27 |
| „კიოლნი“ | 18 | 23 |
| „ვერდერი“ | 18 | 23 |

**იტალია**

**მე-18 ტური.** „ფიორენტინა“ — „მილანი“ 0:2, „ატალანტა“ — „ნაპოლი“ 1:1, „რომა“ — „პესკარა“ 1:3, „ლეჩე“ — „ვერონა“ 0:0, „სამპდორია“ — „ტორინო“ 5:1, „ბოლონია“ — „პიზა“ 1:0, „ინტერი“ — „ასკოლი“ 3:1, „იუვენტუსი“ — „კომო“ 0:0, „ლაციო“ — „ჩეზენა“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი“ | 18 | 31-10 | 30 |
| „ნაპოლი“ | 18 | 36-14 | 28 |
| „სამპდორია“ | 18 | 25-10 | 24 |

**ინგლისი**

**25-ე ტური.** „ლუტონი“ — „მიდლსბრო“ 1:0, „ქუინს პარკი“ — „არსენალი“ 0:0, „შეფილდი“ — „საუთჰემპტონი“ 1:1, (დანარჩენი შეხვედრები გადაიდო თასის გათამაშების გამო).

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი“ | 24 | 50-24 | 51 |
| „ნორვიჩი“ | 24 | 36-25 | 47 |
| „მანჩესტერი“ | 24 | 34-19 | 39 |

**თასის მატჩები.** „ბერნსლი“ — „ევერტონი“ 0:1, „ბლეკბერნი“ — „ბრენტფორდი“ 0:2, „ბორნმუთი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:1, „ჩარლტონი“ — „ვესტ ჰემი“ 0:1, „ჰული“ — „ლივერპული“ 2:3, „ნორვიჩი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 3:2, „უიმბლდონი“ — „გრიმსბი“ 3:1, „უოტფორდი“ — „ნოტინგემი“ 0:3.

**ესპანეთი**

**21-ე ტური.** „ბილბაო“ — „ატლეტიკო მადრიდი“ 1:1, „ლოგრონიესი“ — „კადისი“ 1:0, „ვიგო“ — „მალაგა“ 2:0, „ბარსელონა“ — „ელჩე“ 2:0, „ვალიადოლიდი“ — „ვალენსია“ 1:1, „სარაგოსა“ — „ოსასუნა“ 0:1, „რეალი“ — „ხიხონი“ 5:1, „ბეტისი“ — „სან სებასტიანი“ 1:1, „მურსია“ — „ესპანიოლი“ 1:0, „ოვიედო“ — „სევილია“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 20 | 51-21 | 34 |
| „ბარსელონა“ | 21 | 46-16 | 33 |
| „ატლეტიკო“ | 21 | 37-24 | 25 |

**თასის გათამაშების საპასუხო მატჩები.** „რეალი“ — „ელჩე“ 1:1 (I მატჩი — 2:1), „ლას პალმასი“ — „ატლეტიკო“ 0:2 (0:1), „ვალენსია“ — „სან-ტანდერი“ 3:2 (0:1), „სევილია“ — „ოსასუნა“ 1:1 (0:1), „ბილბაო“ — „სესტაო“ 1:0 (0:0), „ხიხონი“ — „ტენერიფე“ 5:1 (1:2), „სან სებასტიანი“ — „აროსა“ 1:0 (1:0), „სელტა“ — „ხერესი“ 4:1 (2:2), „ბარსელონა“ — „კარტახენა“ 4:0 (3:0), „მალიორკა“ — „ბურგოსი“ 2:0 (1:1), „კადისი“ — „ლერიდა“ 2:2 (3:1).

**საქ. ინფ.**

---

⊙ შვეციის გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ ცნობით დასავლეთ ევროპის პროფესიულ კლუბებში ახლა ეროვნული ნაკრების 22 კანდიდატი თამაშობს. 5 — იტალიაში: კორნელიუსონი („კომო“), ჰოლმკვისტი („ჩეზენა“), პრიტცი, სტრომბერგი (ორივე — „ატალანტა“), ჰისენი („ფიორენტინა“); 5 — შვეიცარიაში: ნილსონი, ლიმპარი (ორივე — „იანგ ბოისი“), სვენსონი („ვეტინგენი“), გრენი („გრასჰოპერსი“), ენგლუნდი („ლუგანო“); 4 — ნორვეგიაში: მილერი, ჰელმანი (ორივე — „ლილესტრიომი“), ჰ. ჰოლმბერგი, იონევრეცი (ორივე — „ვიკინგი“); 3 — პორტუგალიაში: მ. ჰოლმბერგი („ბოავიშტა“), ესკილსონი („სპორტინგი“), მაგნუსონი („ბენფიკა“). ჰოლანდიის „აიაქსში“ გამოდიან ლარსონი და პეტერსონი. თითო მოთამაშე: ინგლისში — რიიდლუნდი („მანჩესტერი“), გფრ-ში — ექსტრიომი („ბაიერნი“) და ბელგიაში — ზეტერბერგი („ანდერლეხტი“).



---

# პირველი იყო „გურია“

(დასასრული)

ლისის „დინამოს“. ეს ამოცანა მხოლოდ მაშინ გადაწყდება წარმატებით, თუ ლანჩხუთელთა გუნდი თავის ლიგაში მაღალ საფეხურზე დამკვიდრებისა და დიდი მიზნისათვის იბრძოლებს. ეს კარგად აქვს შეგნებული მთელს კოლექტივს.

„გურიამ“ ახალი სეზონისთვის მზადება ჯერ შინ გაიარა და ახლა ალახაძეში აგრძელებს წვრთნას. გუნდმა საკონტროლო შეხვედრები ჩაატარა სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ და ზაპოროჟიეს „მეტალისტთან“, ორივე ამ მეტოქესთან გაიმარჯვა ერთნაირი ანგარიშით — 2:0, ვოროშილოვგრადის „ზარიას“ მოუგო 1:0, ხარკოვის „მეტალისტთან“ ითამაშა — 0:0, „ჟალგირისთან“ კი დამარცხდა — 0:1. უნდა ითქვას, რომ „გურია“ ახალი სეზონისთვის განსაკუთრებული მონდომებით ემზადება. არის ცვლილება — კოლექტივი დატოვეს მოწვეულმა ფეხბურთელებმა პარხომენკომ, იავორსკიმ და კვასნიკოვმა, აგრეთვე კაკილაშვილმა, ცხოვრებაშვილმა, ანდღულაძემ, გოგრიჭიანმა და ბონდარუკმა. არის შევსებაც, გუნდში მიიწვიეს გურული — თბილისის „დინამოდან“, კაციტაძე — ხობის „კოლხეთიდან“, დოზმოროვი — მოსკოვის „ლოკომოტივიდან“, ოლეფირენკო — დონეცკის „შახტიორიდან“. რესპუბლიკის სხვა გუნდებიდან მოწვეულია აგრეთვე რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი. კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ კოლექტივს სანიკიძე, [illegible] ერიძე და უგრელიძე. შვეციაში კლუბის კონტრაქტით გამგზავრებ[illegible] თაობაზე კი ჯერ მხოლოდ [illegible] რაკება მიმდინარეობს.

„გურიის“ [illegible] წლევანდელი ჩემპიონატ[illegible] დაიწყება 6 აპრილს, როცა იგი პირველ მატჩს ჩაატარებს ტაშკენტში „პახტაკორთან“, სამი დღის შემდეგ კი ალმა-ათაში შეხვდება „კაირატს“. მანამდე ჩვენი გუნდი მონაწილეობას მიიღებს ლიგის თასის გათამაშებაში. ქვეჯგუფში „გურიასთან“ ერთად გამოდიან: „ნისტრუ“, „კაირატი“ და ლვოვის ასკ.

„გურიის“ გულშემატკივართა საყურადღებოდ. ლანჩხუთელთა საფეხბურთო კლუბის ანგარიშია 38802, ლანჩხუთის აგრომრეწველკის განყოფილება. კლუბის ინდივიდუალური წევრები იხდიან: მოსწავლეები და ჯარისკაცები 1 მანეთს, სტუდენტი ახალგაზრდობა 3 მანეთს, სხვა დანარჩენნი—10 მანეთს. კოლექტიური წევრები თავად განსაზღვრავენ შესატან თანხას.

# რატომ წააგეს...

**საუდის** არაბეთში მიმდინარე იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე სსრ კავშირის ნაკრებმა წინასწარ ჯგუფში ზედიზედ სამი მოგებული მატჩის შემდეგ მარცხი იწვნია ნიგერიის ფეხბურთელებთან. მატჩის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე ანგარიში იყო 4:0 საბჭოთა იუნიორების სასარგებლოდ და ამ დროის განმავლობაში ნიგერიელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 4:4, დამატებითი 11-მეტრიანებით კი გაიმარჯვეს და ნახევარფინალში მონაწილეობაც გაინაღდეს.

უჩვეულო ამბავია, დაგვეთანხმებით. ამ საკითხის გასარკვევად ვსარგებლობთ „სოვეტსკი სპორტში“ 28 თებერვალს გამოქვეყნებული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის ა. სპირინის საუბრით, რომელმაც განმარტა აღნიშნულ მატჩში მომხდარი ამბები:

— ჩვენს ფეხბურთელებს პირველივე წუთებიდან უდავო უპირატესობა ჰქონდათ. მეტოქეთა მცველები ხშირად არღვევდნენ წესს, ავსტრიელმა არბიტრმა ხ. ფორსტინგერმა სამჯერ აჩვენა მათ ყვითელი ბარათი, შუა ტაიმში კირიაკოვმა გახსნა ანგარიში, მერე კი თედეევმა მეორე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

შესვენების შემდეგ სალენკომ და კირიაკოვმა ანგარიში 4:0-მდე აიყვანეს, უპირატესობას კვლავინდებურად ჩვენი ფეხბურთელები ფლობდნენ, ამიტომაც მატჩის საბოლოო ბედი არსებითად ეჭვს არ იწვევდა.

რახან საქმე ასე წავიდა, მომავალი საპასუხისმგებლო მატჩებისთვის ძალების დასაზოგავად შეცვალეს ჩვენი ყველაზე სახიფათო და აქტიური მოთამაშე კირიაკოვი. მაგრამ მოხდა ისე, რომ საბჭოთა გუნდის მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანთან, ზედიზედ ორჯერ დაარღვიეს წესი, ნიგერიელებმა ორივეჯერ კარგად გაითამაშეს ბურთი და გუნდის მცველმა ოხუნხენმა ანგარიში 2:4-მდე შეამცირა. მატჩის დასასრულს სულ რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ჩვენი გუნდის დაცვის რიგებში იმატა შეცდომებმა. მერე მწვრთნელებმა ამ რგოლში ახალი მოთამაშე შემოიყვანეს, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. თამაშის დამთავრებამდე ფლიაზმა და უგბადემ კიდევ 2 ბურთი გაიტანეს მეორე პრელნიკოვის კარში —4:4.

დამატებით დროში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანები. ნიგერიელებმა ხუთივე პენალტი ზუსტად გამოიყენეს, საბჭოთა ფეხბურთელთაგან ზუსტად დაარტყეს სალენკომ, ზაიცმა და ბეჟენარმა, მაგრამ ნიგერიელთა მეკარემ მოიგერია კასიმოვის დარტყმა და მეხუთე 11-მეტრიანის დარტყმის საჭიროება აღარც შეიქნა...

# „მიმინოს" და „შევარდენის"

**არავინ** იცის, როგორი იქნება დებიუტი, აი, ნათლობა კი ნამდვილად იღბლიანი გამოდგა — „მიმინომ", რომელიც წელს პირველად იასპარეზებს რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში, გულშემატკივართა საკმაო ყურადღება მიიპყრო.

თბილისელი ილია შაიშმელაშვილი, მაგალითად, გვთხოვს, ორიოდე სიტყვით ვაცნობოთ, როგორ ჩამოყალიბდა ეს გუნდი და დასძენს: ამ კოლექტივით იმიტომაც დავინტერესდი რომ საქართველოს სპორტული გუნდებისათვის კეთილხმოვანი სახელების შერჩევის ამჟამინდელი დისკუსიების პერიოდში რეგბისტთა ახალი გუნდის „ნათლიებმა" სამაგალითო საზრიანობა გამოიჩინეს — სახალისო, ზედგამოჭრილი და ლამაზი სახელი შეარჩიეს.

მივიღეთ ერთი ოფიციალური ბარათიც. „ლელოს" 14 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ „სეზონის მონახაზს", რომელშიც მკითხველებს „მიმინოს" შექმნის ამბავიც ვაუწყეთ, გამოეხმაურა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტკლუბის თავმჯდომარე ზაურ ქობელაშვილი. იგი გვწერს, რომ „მიმინოს" წინამორბედად ამ ინსტიტუტის რეგბისტთა გუნდის „შევარდენის" მოხსენიება არასწორია, რადგან „შევარდენს" არ შეუწყვეტია არსებობა და გვთხოვს, ამის შესახებ ვამცნოთ მკითხველებს.

ერთი სიტყვით, „მიმინოს" „მოთრენამ" ინტერესი და ერთგვარი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია, რასაც სპორტული გაზეთი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლის.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ამ ახლადჩამოყალიბებულ კოლექტივში გაერთიანდნენ სამედიცინო ინსტიტუტის გუნდისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შევარდენში" „დაფრთიანებული" მოთამაშეები.

სამედიცინო ინსტიტუტის რეგბისტებს მკითხველები, ალბათ, ნაკლებად იცნობენ. ეს გუნდი ჩამოყალიბდა 1975 წელს, სისტემატურად მონაწილეობდა თბილისისა და საქართველოს პირველობებში. „შევარდენს" კი, რომელიც სულ ახლახან პირველი ლიგის ფავორიტად ითვლებოდა და უმაღლეს ლიგაშიც გამოდიოდა, წარდგენა არ სჭირდება. ეგაა, მკითხველებმა შეიძლება არ იცოდნენ, რამ გამოიწვია ამ ორი გუნდის წევრთა „შეამხანაგება".

საქმე ისაა, რომ შარშან, სეზონის ბოლოს, „შევარდენის" ოცამდე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა გუნდი და ახალ მფარველს დაუწყო ძებნა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბი კი ჭაბუკი რეგბისტების ამარა დარჩა.

მომხდარის მიზეზს, რა თქმა უნდა, იოლად მიხვდებით — დიახ, შინაშლილობისა და უთანხმოების გამო მოხდა ყველაფერი, რასაც ნამდვილად ვერ მოვიწონებთ, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ „მიმინოს" ასეთნაირი „დაბადებით" რაღაც განსაკუთრებული მომხდარიყოს. თეატრებისა არ იყოს, საბჭოთა რეგბის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, პრეცედენტის პოვნა არ გაგვიჭირდება. თბილისის „ლოკომოტივისა" და მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდები, მაგალითად, სწორედ მას შემდეგ გამოჩნდნენ საკავშირო სარბიელზე (შესაბამისად 1966 და 1969 წლებში), თბილისის „განთიადისა" და მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდის მოთამაშეთა მეტმა ნაწილმა მწვრთნელებთან უთანხმოების გამო განცალკევება რომ ამჯობინა. თუმცა, მოგეხსენებათ, ასეთ კონფლიქტებს უმრავლეს შემთხვევაში სხვა ფინალი აქვს და მოთამაშეთათვის იგი ასე იოლად ნამდვილად არ დასრულებულა (არც „ჯანყი" რჩება ყოველთვის დაუსჯელი და არც მწვრთნელის მადლიანი საქმე), ასე რომ, „შევარდენის" ყოფილ წევრებს, ამჟამად მიმინოელებს, სამომავლოდ მეტი სიფრთხილე და თავშეკავება მართებთ.

დასასრულ „შევარდენის" შესახებ. იგი, რა თქმა უნდა, კვლავაც იარსებებს; ამ კლუბში ხომ ნიჭიერი ჭაბუკები თამაშობენ, საუკეთესო რეგბის სტადიონიც აქვთ, რომელსაც დროდადრო სხვა სტუდენტურ გუნდებსაც უთმობენ სავარჯიშოდ. როგორც სპორტკლუბის თავმჯდომარემ გვაცნობა, „შევარდენის" ჭაბუკები წელს მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო თასის გათამაშებასა და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

## ლინარესის საერთაშორისო...

**ლინარესში** (ესპანეთი) მიმდინარე დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელიც წრიული სისტემით ტარდება 11 მოჭადრაკის მონაწილეობით, დაწინაურდნენ: ვასილი ივანჩუკი — 5 ქულა (6 შესაძლებლიდან), ანატოლი კარპოვი — 5, ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 4, არტურ იუსუპოვი — 3,5.



## მაიკ ტაისონმა ტიტული შეინარჩუნა

**ლას-ვეგასი** (ნევადას შტატი, აშშ). მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ამერიკელი მაიკ ტაისონი რვა თვეა რინგზე არ გამოსულა. და აი, გასულ კვირას მას თავისი ტიტულის დაცვა მოუხდა ინგლისელ ფრენკ ბრუნოსთან შეხვედრაში.

ბრძოლა, რომელმაც კრივის მოყვარულთა. დიდი ინტერესი გამოიწვია, შეწყდა მეხუთე რაუნდში ტაისონის აშკარა უპირატესობის გამო. მსოფლიო ჩემპიონმა შეინარჩუნა ტიტული. შეგახსენებთ, რომ ტაისონს პროფესიულ რინგზე ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

**სურათზე: მაიკ ტაისონი.**

# სპორტული მარტი

**1-4. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს ჭაბუკთა პირველობა 1973-1974 წლებში დაბადებულთა შორის. **საგარეჯო.**

**3-7. ბადმინტონი.** საქართველოს პირველობა 1968-1972 წლებში დაბადებულთა შორის. **თბილისი.**

**1-5. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს ჭაბუკთა პირველობა 1972-1973 წლებში დაბადებულთა შორის. **ქუთაისი.**

**24-27. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა. I ზონა. **გორი.**

**25-26. ათლეტიზმი.** საქართველოს პირველობა თავისუფალ ვარჯიშში 1966 წლამდე დაბადებულთა შორის. **თბილისი.**

**30.-2. IV. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს ჭაბუკთა პირველობა 1975-1976 წლებში დაბადებულთა შორის. **ხამტრედია.**

**16-20. ჭიდაობა სამბო.** საქართველოს პირველობა. **თბილისი.**

**13-26. ველოსპორტი. საგზატკეცილო რბოლა.** სსრ კავშირის ჩემპიონატი და საკავშირო შეჯიბრება (კრიტერიუმი, სამთო) ინდივიდუალური რბოლა დროის მიხედვით I-II ტური. **სოხუმი.**

**3-8. ველოსპორტი. მრავალდღიანი საგზატკეცილო რბოლა.** საკავშირო შეჯიბრება აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიზზე. **სოხუმი.**

**23-26. ველოსპორტი. საგზატკეცილო რბოლა.** საკავშირო შეჯიბრება 1972-1974 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. **ვანი.**

**23-26. ველოსპორტი საგზატკეცილო რბოლა.** სსრ კავშირის პირველობა. კრიტერიუმი. I ტური. 1972-1974 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. **ვანი.**

**22-28. წყალბურთი.** სსრ კავშირის პირველობა 1971-1972 წლებში დაბადებულთა შორის. წინასწარი შეხვედრები. **თბილისი, ყაზანი, ხარკოვი, მოსკოვი.**

**10-17. წყალბურთი.** საქართველოს თასი. წინასწარი შეხვედრები. **თბილისი.**

**2-7. სამთოსათხილამურო სპორტი.** ევროპის თასის, გათამაშება ქალთა შორის სლალომსა და სწრაფდაშვებაში. **გუდაური.**

**9-22. სამთოსათხილამურო სპორტი.** ზამთრის I ახალგაზრდული საკავშირო თამაშები. **ბაკურიანი. გუდაური.**

**17-19. აკადემიური ნიჩბოსნობა.** ფოთის საკავშირო რეგატა მოზრდილთა და 1971-1972 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. **ფოთი.**

**13-16. ნიჩბოსნობა. ბაიდარა და კანოე.** ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამატჩო შეხვედრა მოზრდილთა, იუნიორთა და 1969-1970 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. **ფოთი.**

**28-2.IV. ნიჩბოსნობა. ბაიდარა და კანოე.** სსრ კავშირის თასი. **ფოთი.**

**1-5. ძიუდო.** საქართველოს პირველობა 1972-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თელავი.**

**24-26. ძიუდო.** საერთაშორისო ტურნირი ა. კიკნაძის სახელობის პრიზზე 1972-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

**8-12. ცხენოსნობა.** ამიერკავკასიის თასი. **თბილისი.**

**20-30. რეგბი.** სსრ კავშირის თასი. მერვედფინალური ჯგუფური ტურნირი. **ქუთაისი.**

**24-29. ხელბურთი.** სსრ კავშირის პირველობა. 1973-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

**20-26. თანამედროვე ხუთჭიდი.** სსრ კავშირის თასი. **თბილისი.**

**9-12. მაგიდის ჩოგბურთი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი. II ტური. **თბილისი.**

**1-9 ფარიკაობა.** საქართველოს ჩემპიონატი. **ბათუმი.**

**3-9. ბალახის ჰოკეი.** სსრ კავშირის თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის. **ქუთაისი.**

**1-25. ჭადრაკი.** საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. **თბილისი.**

## ნბა-ს ჩემპიონატზე

**გაგაცნობთ** კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა-ს) ჩემპიონატის ერთ-ერთი ბოლო ტურის შედეგებს: ბოსტონი-ვაშინგტონი — 117:108. ფილადელფია-დეტროიტი — 106:124, შარლოტა-სიეტლი — 108:106, კლივლენდი-საკრამენტო — 110:94, ინდიანა-მილუოკი — 91:109, ჰიუსტონი-ჩიკაგო 105:98, დალასი-ფენიქსი — 121:117, იუტაჰი — ნიუ-ჯერსი — 129:101. „ლეიკერსი"-პორტლენდი — 140:129. „კლიპერსი"-სან-ანტონიო — 101:106, ვაშინგტონი-მილუოკი — 102:113, დენვერ-იუტაჰი — 127:126, ფენიქსი-ატლანტა — 116:118, გოულდენ სტეიტი-„კლიპერსი" — 116:107, პორტლენდი—სან-ანტონიო — 137:100. შარლოტა-კლივლენდი — 91:110. დეტროიტი-ჩიკაგო — 113:102.

გაგაცნობთ სატურნირო ცხრილში შექმნილ ვითარებას. ატლანტის ოკეანის დივიზიონი: „ნიუ-იორკ ნიკერსბოკერსი" (30 გამარჯვება), „ფილადელფია-76" (25), „ბოსტონ სელტიქსი" (22), „ნიუ-ჯერსი ნეთსი" (17), „ვაშინგტონ ბულითსი" (16), „შარლოტა" (12), ცენტრალური დივიზიონი: „კლივლენდ კავალიერსი" (34), „დეტროიტ პისტონსი" (30), „მილუოკი ბაქსი" (29), „ატლანტა ჰოუქსი" (28), „ჩიკაგო ბულსი" (25), „ინდიანა პეისერზი" (11). შუა დასავლეთის დივიზიონი: „ჰიუსტონ როკეტსი" (26), „იუტაჰ ჯაზი" (27), „დალას მავერიქსი" (22), „დენვერ ნაგითსი" (24), „სან-ანტონიო სპურსი" (13), „მაიამი" (4), წყნარი ოკეანის დივიზიონი: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი (31), „სიეტლ სუპერსონიქსი" (27), „ფენიქს სანზი" (27), „გოულდენ სტეიტ უორიორსი" (24), „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" (24), „საკრამენტო კინგსი" (12), „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" (10).

**მერაბ კალანდაძე.**

## ოლიმპიური ფალავნის თასზე

**მინსკი.** საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის პრიზზე წლეულს მეოცედ ჩატარდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს: მსოფლიო ჩემპიონმა იუნიორთა შორის კიმ ჯონგ სიმ (სამხრეთ კორეა), მიხეილ კუშნირმა (ლვოვი), აბდულაზიზ აზიზოვმა (მახაჩყალა), ევროპის ჩემპიონმა სტეფან სარქისიანმა (კიროვაკანი), სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა პაკ ჯან სუნმა (სამხრეთ კორეა), საიდ მურთუზალიევმა (გროზნო), ლუკმან ჟაბრაილოვმა (მახაჩყალა), სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა მახარბეკ ხადარცევმა (ტაშკენტი), რობერტ ტიუიულოვმა (ორჯონიკიძე) და მსოფლიო ჩემპიონმა ასლან ხადარცევმა (ტაშკენტი).

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**(ა. წერეთლის გამზირი №2)**

3 მარტი

**ფეხბურთი**

საფეხბურთო კავშირის თასზე

**„დინამო" (თბილისი) —**

**„დინამო" (მინსკი)**

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში.

**სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!**

**მე-11 ტირაჟის დამატებითი ფონდი**

**ლატარია** „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზის" მე-11 ტირაჟში, რომელიც გაიმართება 1989 წლის 12 მარტს, გათამაშდება სარეზერვო მოსაგები ფონდის თანხა 250 ათასი მანეთის ოდენობით. მათ რიცხვში „სპორტლოტოში" „6 45"-დან — 25 ათასი მანეთი, „5 36"-დან — 175 ათასი მანეთი, „სპორტპროგნოზში" — 50 ათასი მანეთი.

ყველა მსურველს გიწვევთ „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზის" მე-11 ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად.

გისურვებთ წარმატებას!

**„საქსპორტლოტო"**

**ეძღვნება 8 მარტს**

**3 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საესტრადო კონცერტი.**

მონაწილეობენ:

ელენე ყიფშიძე, გივი ბერიკაშვილი

ქალთა ვოკალური ტრიო „პალიტრა"

ნანული აბესაძე

ნუნუ გაბუნია

ეთერ კაკულია

მედეა ძიძიგური

ნუნუ დულაშვილი

ირმა სოხაძე

რუსუდან სებისკვერაძე

ეკა მამალაძე

გოგი დოლიძე

ამირან ბუაძე

გურამ საღარაძე

ელიკო ასლამაზიშვილი, გურამ გეგეჭკორი.

მოცეკვავეთა ანსამბლი „მეტეხი".

საღამოს წამყვანები: ქეთევან მითაიშვილი და დონარა კინწურაშვილი.

დასაწყისი 19.30 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

**იუმორი. „სტადიონი"** (ჩეხოსლოვაკია)



ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10875